# საფრანგეთი

| | | |
|---|---|---|
| უბ | პეპიტო ელორგა | აჟენი |
| | ორელიან რუჟერი | კლერმონი |
| | კრისტოფ დომინისი | სტადი |
| | ლუდოვიკ ვალბონი | ბრივი |
| შბ | დამიენ ტრაი | ბიარიცი |
| | ბრიან ლიბენბერხი | სტადი |
| 10 | იან დელეგი | კასტრი |
| | ფრედერიკ მიშალაკი | ტულუზი |
| 9 | პიერ მინიონი | კლერმონი |
| | დიმიტრი იაშვილი | ბიარიცი |
| 1ხ | სილვენ მარკონე | სტადი |
| | ვილიამ სერვა | ტულუზი |
| | პიტერ დევილიე | სტადი |
| | სებასტიან ბრიუნო | სეილი ინგ |
| | ოლივიე მიუ | ბურგუენი |
| 2ხ | “ ფაბიენ პელუ | ტულუზი |
| | ჟერომ ტიონი | ბიარიცი |
| | გრეგორი ლანბოლეი | ტულუზი |
| 3ხ | ჟიულიენ ბონერი | ბურგუენი |
| | სებასტიან შაბალი | სეილი ინგ |
| | პატრიკ ტაბაკო | პო |
| | იანიკ ნიონგა | ბეზიე |

# ირლანდია

| | | |
|---|---|---|
| უბ | გირვან დემფსი | ლენსთერი |
| | დენის ჰიქი | ლენსთერი |
| | ჯორდან მერფი | ლესთერი ინგ |
| | შეინ ჰორგანი | ლენსთერი |
| შბ | გორდონ დარსი | ლენსთერი |
| | “ ბრაიან ოდრისკოლი | ლენსთერი |
| | კევინ მეგსი | ალსთერი |
| 10 | რონან ოგარა | მანსთერი |
| | დევიდ ჰამფრიზი | ალსთერი |
| 9 | პიტერ სთრინგერი | მანსთერი |
| | გაი ისთერბი | ლენსთერი |
| 1ხ | რეჯი ქორიგანი | ლენსთერი |
| | შეინ ბირნი | ლენსთერი |
| | ჯონ ჰეისი | მანსთერი |
| | ფრენკი შიანი | მანსთერი |
| | მარკუს ჰორანი | მანსთერი |
| 2ხ | მალკომ ოქელი | ლენსთერი |
| | პოლ ოკონელი | მანსთერი |
| | დონჩა ოკალაჰენი | მანსთერი |
| 3ხ | საიმონ ისთერბი | ჰლანეჰლი უელ |
| | ჯონი ოკონორი | ვოსფსი ინგ |
| | ენთონი ფოლი | მანსთერი |
| | ერიკ მილერი | ლენსთერი |
| | ალენ ქვინლენი | მანსთერი |
| | დენის ლიმი | მანსთერი |

# ინგლისი

| | | |
|---|---|---|
| უბ | “ ჯეისონ რობინსონი | სეილი |
| | მარკ კუეტო | სეილი |
| | ჯოშ ლივსი | ვოსფსი |
| | ბენ კოენი | ნორსჰემპტონი |
| შბ | მეთიუ ტეიტი | ნიუკასლი |
| | ჯემი ნუნი | ნიუკასლი |
| | ჰენრი პოლი | გლოსთერი |
| 10 | ჩარლი ჰოჯსონი | სეილი |
| | ოლი ბარქლი | ბასი |
| 9 | მეტ დოუსონი | ვოსფსი |
| | ჰარი ელისი | ლესთერი |
| | ენდი გომერსოლი | გლოსთერი |
| 1ხ | გრემ რაუნთრი | ლესთერი |
| | სტივ თომპსონი | ნორსჰემპტონი |
| | ჯულიან ვაითი | ლესთერი |
| | ენდი თითრელი | სეილი |
| | ფილ ვიქერი | გლოსთერი |
| 2ხ | დანი გრუქოქი | ბასი |
| | ბენ ქეი | ლესთერი |
| | სტივ ბორსვიქი | ბასი |
| 3ხ | ლუის მუდი | ლესთერი |
| | ენდი ჰეიზელი | გლოსთერი |
| | ჯო ვორსლი | ვოსფსი |
| | ჯეიმზ ფორესტერი | გლოსთერი |



# ირლანდიის ჟამიაო

დიდებული „ექვსი ერი“ ელის რაგბის ფანობას. კარგა ხანია, დასი ასე თანაბარი არ ყოფილა. ინგლისი და საფრანგეთი გაიცხრილნენ, ირლანდია დაღვინდა, უელსი ასფურცელას ტემპით იზრდება და მხოლოდ გავერანებული შოტლანდია და ჯერაც ლაწირაკი იტალია ულახავენ უძველესსა და უტრადიციულეს შეჯიბრს რეპუტაციას.

შარშან ჩემპიონი საფრანგეთი იყო. შარშანწინ, მსოფლიო თასის წელს, ინგლისმა იპირველა. რაც „ხუთმა ერმა“ 2000 წელს მარაქაში იტალიაც გაირია და „ექვს ერად“ გაფორმდა, ორი გრანდის გარდა თასი არავის რგებია. კელტური ამქრიდან შოტლანდია ჩემპიონი ბოლოჯერ 1999 წელს ყოფილა, უელსი 1994 წელს, ირლანდია კი არც მეტი და არც ნაკლები, ზუსტად 20 წლის წინათ, 1985 წელს!

მედიამ ეს ახლახანსლა გამოჩხრიკა და იმის მტკიცებასაც მოყვა, ირლანდიის ჩემპიონობის ჟამი დამდგარაო. და მართლაც, „სამყურები“ აშლილ კონკურენტებთან შედარებით აშკარად ხმაშეწყობილ ანსამბლად გამოიყურებიან, დაშავებული არავინა ჰყავთ, კალენდრის ოდინდელი როტაციის წყალობით გადამწყვეტ მატჩებს შინ მართავენ და რაც მთავარია, მათ ყოჩობთ ღმერთკაცი, უჩაუქესი და უეშხიანესი ბრაიან „ბოდ“ ოდრისკოლი, ვინც ახლავე, 25 წლის ასაკში ჯუფთია ირლანდიელივე ლეგენდის, მაიკ გიბსონისა.

„ბოდის“ დარად, გიბსონიც შეამარბი იყო. მასზე მეტი მატჩი „ხუთ/ექვს ერში“ არავის გაუმართავს, მაგრამ ჩემპიონი ერთადერთხელ, 1974 წელს გამხდარა და ისიც არა–ოფიციალურად, რადგან ვიდრე სამოყვარულო სულის ერთგული რაგბის თემი დასერიოზულდებოდა და მერე პროფესიონალიზმსაც შეიწყნარებდა, შეჯიბრისთვის დებულების შედგენა და თასის დაწესება არავის მოაზრებია.

დიახ, როგორც რაგბის უცხოელი მეისტორიეები ბრძანებენ, ტურნირი საუკუნეზე მეტი ხანი თავისით იმართებოდა. მონაწილე ქვეყნების რაგბის მამები თამაშებს ისე ნიშნავდნენ, რომ ერთი წრე ნაღდად შეკრულიყო, ცხრილს კი შეჯიბრს მედია უდგენდა. პირველმა ასეთი მკრეხელობა ლონდონის „თაიმსმა“ ჩაიდინა აწ უკვე ძაან შორეულ 1896 წელს, ანუ იმ ხანაში, როცა ჯარიმა იშვიათობა იყო და არეკნი ლელოზე მეტად ფასობდა.

იმხანად, ანუ 1883 წლიდან, ოთხი ბრიტანული ქვეყანა რეგულარულად თამაშობდა. პრესა ამ შეჯიბრს „საერთაშორისო ჩემპიონატად“ მოიხსენიებდა. 1910 წელს საფრანგეთს თავი ბოლო ბრიტმა, შოტლანდიამაც გაუყადრა და გაჩნდა ტერმინი „ხუთი ერი“. მერე, 1932 წელს, ფრანგებს პროფესიონალზმი დაბრალდათ, მოიკვეთნენ და ამით დარჩა „ოთხი ერი“, გალთა შემორიგების წინ კი მეორე მსოფლიო ომი ატყდა და ქველი განზრახვა დიდი ხნით გადაიდო.

ტურნირი 1947 წელსღა განახლდა და მას აქეთ შეუფერხებლად იმართება. ერთი ეგ იყო მხოლოდ, რომ 1972 წელს, ალსთერის სისხლის ღვრის შემდეგ, გაერთიანებული სამეფოს შემადგენელი ნაწილები, უელსი და შოტლანდია ირლანდიის რესპუბლიკაში ჩასვლას მოერიდნენ, რის გამოც ჩემპიონი არ გამოვლენილა. ერთი ორჯერაც ბრიტანეთში საქონლის ჭირმა იფეთქა, კარანტინი დაწესდა და შეჯიბრი გაჯანჯლდა.

თასი და დებულება „ხუთ ერს“ 1993 წელს გაუჩნდა. ამით თანა– ჩემპიონობას ყავლი გაუვიდა, რადგან წესად შემოიღეს, რომ ქულათა ტოლობისას ადგილების გასანაწილებლად ჯერ ბურთების სხვაობა შეედარებინათ, მერე კი გატანილ ლელოთა რიცხვიც. არადა, მანამდე ბევრჯერ ყოფილა, რომ ორ გუნდს გაუყვია ჩემპიონობა, ორჯერ (1920 და 1954 წლებში) სამსაც, 1973 წელს კი მოხდა ზეპური სპორტისთვის უნიკალური რამ: ტურნირის ათივე მატჩი მასპინძელმა გუნდმა მოიგო და ხუთივე მონაწილე ჩემპიონი გახდა!

დასასრულ, მედიის მიერვე მოგონილი და ჯერაც სიმბოლური, წარმოსახვითი, გაუნივთებელი პრიზების შესახებ. თუ რომელიმე ბრიტი სამივე მეზობელს დაამარცხებს, „სამმაგ გვირგვინს“ გაახერხებს. თუ გუნდი სეზონში ყველა მატჩს (უწინ ოთხს, აწ კი ხუთს) მოიგებს, „დიდი სლემი“ ერგება, ტურნირის ნული ქულით დასრულებას კი „ვაითვოში“ (შეთეთრება) ჰქვია.

# უელსი

| | | |
|---|---|---|
| უბ | “ გარეს თომასი | ტულუზი სფრ |
| | ტომ შენკლინი | კარდიფი |
| | შეინ ვილიამსი | ოსფრიზი |
| | რის ვილიამსი | კარდიფი |
| | ჰელ ლასქოუმი | დრეგონზი |
| | კევინ მორგანი | დრეგონზი |
| შბ | სონი პარკერი | ოსფრიზი |
| | გევინ ჰენსონი | ოსფრიზი |
| 10 | სტივენ ჯოუნზი | კლერმონი სფრ |
| | ქერი სვინი | დრეგონზი |
| 9 | დვეინ პილი | ჰლანეჰლი |
| | გარეს კუპერი | დრეგონზი |
| | მაიკლ ფილიპსი | ჰლანეჰლი |
| 1ხ | გეთინ ჯენკინსი | კარდიფი |
| | მეფინ დევისი | გლოსთერი ინგ |
| | ადამ ჯოუნზი | ოსფრიზი |
| | რობინ მაკბრაიდი | ჰლანეჰლი |
| | ჯონ იეპი | კარდიფი |
| | სტივ ჯოუნზი | დრეგონზი |
| 2ხ | გარეს ჰლუელინი | ნარბონი სფრ |
| | ბრენტ ქობეინი | ოსფრიზი |
| | რობერტ სიდოლი | კარდიფი |
| | ლუკ ჩარტერისი | დრეგონზი |
| | იენ გაფი | დრეგონზი |
| 3ხ | დაფიდ ჯოუნზი | ჰლანეჰლი |
| | ჯონათან თომასი | ოსფრიზი |
| | მაიკლ ოუენი | დრეგონზი |
| | რაიან ჯოუნზი | ოსფრიზი |
| | კოლინ ჩარვისი | ნიუკასლი ინგ |

# იტალია

| | | |
|---|---|---|
| უბ | როლანდ დემარინი | პარმა |
| | კეინ რობერტსონი | ვიადანა |
| | ლუდოვიკო ნიტოლია | კალვიზანო |
| | რობერტო პედრაცი | ვიადანა |
| შბ | ვალტერ პოცებონი | ტრევიზო |
| | მატეო ბარბინი | პადოვა |
| 10 | ლუჩანო ორკერა | პადოვა |
| | ანდრეა ზკანავაკა | როვიგო |
| 9 | პოლ გრიფენი | კალვიზანო |
| | ალესანდრო ტრონკონი | ტრევიზო |
| 1ხ | ანდრეა ლოჩიჩერო | ლაკივლა |
| | ფაბიო ონგარო | ტრევიზო |
| | მარტ. კასტროჯოვანი | კალვიზანო |
| | ჯორჯო ინტოპა | კალვიზანო |
| | სალვატ. პერუჯინი | კალვიზანო |
| | სალვატ. კოსტანცო | ტრევიზო |
| 2ხ | კარლო დელფავა | პარმა |
| “ | მარკო ბორტოლამი | ნარბონი სფრ |
| | კრისტიან ბეცი | ვიადანა |
| 3ხ | არონ პერსიკო | აჟენი სფრ |
| | მაურო ბერგამასკო | სტადი სფრ |
| | სერჯო პარისე | ტრევიზო |
| | სილვიო ორლანდო | ტრევიზო |
| | დავიდ დალმაზო | ტრევიზო |

# შოტლანდია

35 კაცა რაზმი

ჯერ არ გაუცხრილავს

## პირობითი ნიშნები

- უბ – უკანა ბეკები
- შბ – შუა ბეკები
- 10 – პივოტი
- 9 – ჰავბეკი
- 1ხ – პირველი ხაზი
- 2ხ – მეორე ხაზი
- 3ხ – მესამე ხაზი
- “ კაპიტანი

# ექვსი ერი 2005

| | | მსაჯი |
|---|---|---|
| | შაბათი 5.02 | |
| 17:00 | საფრანგეთი – შოტლანდია | ვილიამსი უელ |
| 20:30 | უელსი – ინგლისი | ვოლში ზელ |
| | კვირა 6.02 | |
| 17:30 | იტალია – ირლანდია | ობრაიენი ზელ |
| | შაბათი 12.02 | |
| 16:30 | იტალია – უელსი | ქოული ავს |
| 19:00 | შოტლანდია – ირლანდია | ჟიუტჟი სფრ |
| | კვირა 13.02 | |
| 18:00 | ინგლისი – საფრანგეთი | ობრაიენი ზელ |
| | შაბათი 26.02 | |
| 17:00 | შოტლანდია – იტალია | დიკინსონი ავს |
| 19:00 | საფრანგეთი – უელსი | ჰონისი ზელ |
| | კვირა 27.02 | |
| 18:00 | ირლანდია – ინგლისი | კაპლანი აფრ |
| | შაბათი 12.03 | |
| 16:30 | ირლანდია – საფრანგეთი | სპრედბერი ინგ |
| 19:00 | ინგლისი – იტალია | ლორენსი აფრ |
| | კვირა 13.03 | |
| 18:00 | შოტლანდია – უელსი | კაპლანი აფრ |
| | შაბათი 19.03 | |
| 16:00 | იტალია – საფრანგეთი | ქორთნი ირლ |
| 18:30 | უელსი – ირლანდია | ვაითი ინგ |
| 21:00 | ინგლისი – შოტლანდია | როლანი ირლ |

საქართველოს დროით

# 2004

14-15.02

საფრანგეთი 35:17 ირლანდია
უელსი 23:10 შოტლანდია
იტალია 9:50 ინგლისი

21-22.02

საფრანგეთი 25: 0 იტალია
შოტლანდია 13:35 ინგლისი
ირლანდია 36:15 უელსი

6-7.03

იტალია 20:14 შოტლანდია
ინგლისი 13:19 ირლანდია
უელსი 22:29 საფრანგეთი

20-21.03

ირლანდია 19: 3 იტალია
ინგლისი 31:21 უელსი
შოტლანდია 0:31 საფრანგეთი

27.03

უელსი 44:10 იტალია
ირლანდია 37:16 შოტლანდია
საფრანგეთი 24:21 ინგლისი

| | მ–წ | ბურთები |
|---|---|---|
| საფრანგეთი | 5-0 | 144: 60 |
| ირლანდია | 4-1 | 128: 82 |
| ინგლისი | 3-2 | 150: 86 |
| უელსი | 2-3 | 125:116 |
| იტალია | 1-4 | 42:152 |
| შოტლანდია | 0-5 | 53 146 |

# 1910 - 99




| ხუთი ერი | ქულა | ჩემპ | 8-0 |
|---|---|---|---|
| ინგლისი | 322 | 25 | 11-2 |
| უელსი | 313 | 23 | 6-2 |
| საფრანგეთი | 283 | 20 | 6-8 |
| შოტლანდია | 241 | 12 | 3-9 |
| ირლანდია | 233 | 11 | 1-8 |

# 2000 - 04

| ექვსი ერი | ქულა | ჩემპ | 10-0 |
|---|---|---|---|
| ინგლისი | 40 | 3 | 1-0 |
| საფრანგეთი | 36 | 2 | 2-0 |
| ირლანდია | 36 | 0 | 0-0 |
| უელსი | 17 | 0 | 0-1 |
| შოტლანდია | 15 | 0 | 0-1 |
| იტალია | 6 | 0 | 0-2 |

# დასაბამიდან აქამდე

| | | | | ფრე |
|---|---|---|---|---|
| 1871 | ინგ | 64-40 | შტლ | 17 |
| 1875 | ინგ | 69-40 | ირლ | 8 |
| 1877 | შტლ | 61-50 | ირლ | 6 |
| 1881 | ინგ | 50-49 | უელ | 12 |
| 1882 | უელ | 60-42 | ირლ | 6 |
| 1883 | უელ | 59-47 | შტლ | 3 |
| 1906 | ინგ | 46-31 | სფრ | 7 |
| 1908 | უელ | 41-36 | სფრ | 3 |
| 1909 | სფრ | 46-28 | ირლ | 5 |
| 1910 | სფრ | 41-33 | შტლ | 3 |



# საუკეთესონი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კეპი | 56 | მაიკ გიბსონი | ირლ | 1964-79 |
| ლელო | 24 | იენ სმითი | შტლ | 1924-33 |
| გარდასახვა | 74 | ჯონი ვილკინსონი | ინგ | 1998-03 |
| საჯარიმო | 93 | ნილ ჯენკინსი | უელ | 1991-01 |
| არეკნი | 9 | ჟან–პატრის ლესკარბურა | სფრ | 1982-88 |
| | 9 | რობ ენდრიუ | ინგ | 1985-97 |
| ქულა | 406 | ნილ ჯენკინსი | უელ | 1991-01 |